ეროვნული ბიბლიოთეკა

# გამარჯვებით წარმართეთ გამარჯვებისკენ!

## რესპუბლიკური რეკორდით

[ჩ]იბაში გაიმართა იუნიორთა [საკავ]შირო პირველობა მძლეოსნო[ბაში]. ამ შეჯიბრებაში შესანიშნა[ვად] იასპარეზა თბილისელმა შუ[ბის] მტყორცნელმა ქალმა ს. გუნბამ [(მ]წვრთნელი, საქართველოს დამსა[ხ]ურებული მწვრთნელი ი. გიგაუ[რი]), რომელმაც ერთ-ერთ ცდაზე 58,26 მეტრი აჩვენა და 3,5 მეტრით გააუმჯობესა ჩვენი რესპუბლიკის რეკორდი, რომელიც მასვე ეკუთვნოდა. ეს შედეგი წლეულს საერთოდ მეორეა საბჭოთა კავშირში.

ამ წარმატებისთვის ს. გუნბა საქართველოს სპორტკომიტეტმა საპატიო სიგელით დააჯილდოვა.

**დონის როსტოვში** გაიმართა მძლეოსანთა შეჯიბრება სსრ კავშირის თასზე — „იზვესტიის" პრიზზე. ამ ნახევარფინალურ ასპარეზობაში მონაწილეობდა 12 გუნდი, რომელთა შორის იყვნენ საქართველოს ზონალურ ტურნირში უძლიერესნი — თბილისისა და ქუთაისის კოლექტივები.

ლებულებით სარბიელზე მხოლოდ ქალაქების ნაკრები გუნდები უნდა გამოსულიყვნენ, მაგრამ მოხდა ისე, რომ შეჯიბრებაში ზოგიერთი ოლქის ნაკრები გუნდები დაუშვეს. საინტერესოა, რომ სამივე საპრიზო ადგილი სწორედ ოლქების გუნდებმა მოიპოვეს. პირველნი იყვნენ როსტოვის ოლქის მძლეოსნები, რომლებმაც 295 ქულა მოაგროვეს, მეორე ადგილზეა ზაპოროჟიეს ოლქის სპორტსმენები — 283, მესამეზე — კრასნოდარის მხარის წარმომადგენლები — 270.

თბილისის გუნდი 219 ქულით მეხუთე ადგილზე გავიდა, ხოლო ქუთაისელებმა ბოლო, მე-12 ადგილი დაიკავეს — 42 ქულა.

ამ შეჯიბრებაში შესანიშნავად იასპარეზა თბილისელმა ბ. მექვაბიშვილმა (მწვრთნელი ა. ბედუკაძე),

## 14 წლის შემდეგ...

რომელმაც 100 მეტრზე (იგი ამ სახეობაში პირად პირველობაში გამოდიოდა), როგორც წინასწარ, ისე ფინალურ გარბენში 10,4 წამი აჩვენა და **პირველად შეასრულა სპორტის ოსტატის ნორმატივი. აღსანიშნავია, რომ საქართველოს სპრინტერებს მძლეოსნობის ამ სახეობაში 14 წელია სპორტის ოსტატობა არ მოუპოვებიათ.**

ქალთა შორის ბადრის ტყორცნაში პირველობა მოიგო ნ. ლაბაძემ (59,06 მ) და მან თავის კოლექტივს ყველაზე მეტი — 17 ქულა მოუტანა.

საქართველოს სპორტსმენთაგან მეორე საპრიზო ადგილები დაიკავეს: ქალებში **ნ. დეგტიარიოვამ** — 100 მეტრზე რბენაში — 12,1, **დ. ხაბაურმა** — შუბის ტყორცნაში — 44,90 მ., ვაჟთა შორის 200 მეტრზე რბენაში **ბ. მექვაბიშვილმა** — 21,7, 800 მეტრზე ასპარეზობაში **ა. ნეკრასოვმა** — 1.52,4 და სიგრძეზე ხტომაში **ვ. ჩუკანოვმა** — 727 სმ. მათ გარდა „იზვესტიის" პრიზის გათამაშების ფინალურ ტურნირში მონაწილეობის უფლება მიიღო, აგრეთვე, **თ. ჩიტაძემ**, რომელიც 200 მეტრზე რბენის ფინიშთან მესამე გახლდათ — 22,0.

**ბ. მექვაბიშვილი 100 მეტრზე რბენაში სპორტის ოსტატის ნორმატივის შესრულებისთვის საქართველოს სპორტკომიტეტმა საპატიო სიგელით დააჯილდოვა.**



## „ვერცხლი" ფლორენციიდან

**სასიხარულო** ცნობა მოვიდა იტალიის ქალაქ ფლორენციიდან, სადაც დამთავრდა ევროპის ჩემპიონატი იუნიორ მოცურავეთა და წყალში მხტომელთა შორის. ჩვენი რესპუბლიკის წარმომადგენელმა **სერგო შალიბაშვილმა** კოშკიდან წყალში ხტომაში **ვერცხლის მედალი მოიპოვა** (წინ გაუშვა მხოლოდ იტალიელი ჯ. იტალიანი). საერთოდ საბჭოთა სპორტსმენებმა 4 ოქროს, 6 ვერცხლისა და 4 ბრინჯაოს მედალი მოიპოვეს. მათზე უკეთესი მაჩვენებელი აქვთ გდრ-ის იუნიორებს — 8 ოქროს, 3 ვერცხლისა და 9 ბრინჯაოს მედალი. იცოჩალეს მასპინძლებმაც, რომელთა ანგარიშზეა 7 ოქროს, 4 ვერცხლისა და 2 ბრინჯაოს მედალი.

* * *

**სურათზე:** ს. შალიბაშვილი.

ი. იუნაევის ფოტო.


პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# ლელო

№ 150 (6205)

1978 წ. 2 აგვისტო, ოთხშაბათი.

ფასი 3 კაპ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Комитета по физической культуре и спорту при Совете Министров ГССР и республиканского Совета профсоюзов

გაზეთი გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან


## გამოცდები, გამოცდები...

[გ]უშინ ჩვენი ქვეყნის უმაღლეს სასწავლებლებში დაიწყო მისაღები გამოცდები.

...საქართველოს ფიზკულტურის ინსტიტუტის სტადიონზე, ფარიკაობისა და ტანვარჯიშის დარბაზებში, „დინამოს" სტადიონის საცურაო აუზში ერთდროულად გაჩაღდა აბიტურიენტთა ცოდნისა და სიმარჯვის შემოწმება. სტადიონის [ს]აბენი ბილიკები მშდ მრავალჭიდელებს, მძლეოსნებს, მოთხილამურეებს დაუკავებიათ. აი, საქართველოს იუნიორთა ნაკრების წევრი რ. ზედგინიძე გორგოლაჭებიანი თხილამურებით გამომცდელებს უჩვენებს თხილამურებით რბენის შენაცვლებით ორნაბიჯიანი მოძრაობის იმიტაციას და უმაღლეს შეფასებას იმსახურებს. იქვე სამთო-სათხილამურო სპორტში რესპუბლიკის ჭაბუკთა ნაკრების წევრი ა. კოზანაშვილი 50-მეტრიან „სლალომის ტრასის" რაც შეიძლება სწრაფად გავლას ცდილობს. 9,6 წამი, ასეთია მისი შედეგი.

...მძლეოსნობის პედაგოგიურ ფაკულტეტზე 56 აბიტურიენტი იბრძვის 14 ადგილისთვის. ნორმატივების მიმღები კომისია მძლეოსნობის კათედრის გამგის, დოცენტ დ. იოსელიანის თავმჯდომარეობით გულმოდგინედ ამოწმებს უმაღლესი ფიზკულტურული განათლების მიღების მსურველთ. მას ამ საქმეში ეხმარებიან კათედრის მასწავლებლები, პედაგოგიკურ მეცნიერებათა კანდიდატი ვ. ვაშაკიძე და ვ. გევონდოვი...

— ინსტიტუტის ოთხ ფაკულტეტზე სწავლების სურვილი 900-მდე ახალგაზრდამ გამოთქვა, — გვიამბობს ინსტიტუტის მიმღები კომისიის პასუხისმგებელი მდივანი გ. ნადირაშვილი, — მათგან 271 რაიონებიდანაა. ეს კარგია! საქართველოს სოფლის ფიზკულტურულ ორგანიზაციებს ჯერ კიდევ ბლომად სჭირდებათ კვალიფიციური ფიზკულტურული მუშაკები. ჩვენს აბიტურიენტებს შორის 81 სპორტის ოსტატი და 1 საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატია. ესეც ნათლად მიუთითებს იმ ფაქტზე, რომ ინსტიტუტში სპორტზე უსაზღვროდ შეყვარებულნი შემოდიან, რათა აქ მიღებული ცოდნით კიდევ უფრო გაიმდიდრონ თეორიული მომზადების დონე, რომ მერე, როცა აქტიურ სპორტს ჩამოშორდებიან, კვალიფიციური მწვრთნელების, მასწავლებლების ადგილები დაიკავონ...

(დასასრული მე-4 გვ).

●

**სურათებზე:** მძლეოსნობაში ნორმატივების მიმღები კომისიის წევრები (მარცხნიდან) დ. იოსელიანი, ვ. ვაშაკიძე და ვ. გევონდოვი; გოგონები გამოცდას აბარებენ 100 მეტრზე რბენაში; მშდ მრავალჭიდში საქართველოს ნაკრების წევრები (მარცხნიდან) დ. კამენსკი, ლ. ხანჯაპოვა და მ. გუმბერიძე გამოცდის მოლოდინში საუბრობენ.

ა. კოტორაშვილის ფოტოები.







## საქართველოს სპორტკომიტეტში

ძიუდოისტთა საკავშირო ჩემპიონატში ოქროს მედლების მოპოვებისთვის **ბ. გოგიჩაშვილი** და **თ. ნამგალაური** დაჯილდოვდნენ საქართველოს სპორტკომიტეტის სიგელებით. ასეთივე ჯილდო გადაეცათ ვერცხლის მედლის მფლობელს — **მ. ალბორიშვილს** და მწვრთნელებს **გ. ზაუტაშვილს, ა. მარტყოფლიშვილსა** და **ბ. მაზიაშვილს** ბრინჯაოს მედლის მოპოვებისთვის სპორტკომიტეტმა მადლობა გამოუცხადა **დ. ხაბულიანს.**

* * *

სპორტკომიტეტის სიგელებით დაჯილდოვდნენ **ი. ეფიმოვა** და **ვ. კაიგერიაინენი**, რომლებმაც დნეპროპეტროვსკში გამართულ აკადემიურ ნიჩბოსანთა საკავშირო შეჯიბრებაში ორადგილიანი ნავებით მოასპარეზე გოგონათა შორის პირველი ადგილი დაიკავეს. ჩემპიონების მწვრთნელს **ბ. ვაისბერგს** გამოეცხადა მადლობა.

* * *

უნგრეთში გამართულ ჭაბუკ წყალბურთელთა ევროპის ჩემპიონატში ოქროს მედლების მოპოვებისთვის საქართველოს სპორტკომიტეტის სიგელებით დაჯილდოვდნენ სსრ კავშირის ნაკრების წევრები **გ. ტუკვაძე** და **მ. გიორგაძე**. მათს მწვრთნელს **ვ. ხანაძეს** გამოეცხადა მადლობა.

## ჭადრაკი

### პარტია გადაიდო

მსოფლიო პირველობაზე კარპოვ — კორჩნოის მატჩის VII პარტია 42-ე სვლაზე გადაიდო.

### დასკვნითი შეხვედრების წინ

**ვილნიუსი, 1 აგვისტო** (დეპეშით, ჩვენი სპეც. კორ.). სსრ კავშირის ცენტრალური საჭადრაკო კლუბის ტრადიციულ XIX საერთაშორისო ტურნირში გუშინ მოეწყო შეხვედრები გადადებული პარტიების დასამთავრებლად.

ორ-ორი პარტია ჰქონდათ დასამთავრებელი მ. ჩიბურდანიძესა და [ე]. კაიშაურს (შვეცია). ი. ჩომთან (უნგრეთი) მაია დამარცხდა (მას [ს]აკი აკლდა), ვ. მიკენასთან ხანგრძლივი ბრძოლა ყაიმით დამთავრდა. კაიშაური დაუზავდა ი. დორფმანსა და ვ. ტუკმაკოვს. ყაიმზე შეთანხმდნენ, აგრეთვე, ტუკმაკოვ — ლ. ესპიგი (გდრ).

პირველი მარცხი იწვნია ი. ლეხტინსკიმ (ჩეხოსლოვაკია) გ. ვეშინასთან. დაუმარცხებელი დარჩა მხოლოდ ერთი მონაწილე — ტუკმაკოვი. დორფმანმა მოუგო მ. დამიანოვიჩს (იუგოსლავია).

დასკვნითი, XV ტურის წინ (ეს ტური დღეს საღამოს შედგება) ვ. ტუკმაკოვს 10 ქულა აქვს, ტ. პეტროსიანს — 9,5, ბ. გულკოს — 9, ა. ბელიავსკის — 8,5 (1), ი. ლეხტინსკის — 8.

### რუმინეთში, საასპარეზოდ

**გუშინ** რუმინეთში გაემგზავრნენ ოსტატი ზ. სტურუა, ოსტატობის კანდიდატი ნ. მელაშვილი და საქართველოს სპორტკომიტეტის უფროსი მწვრთნელი ჭადრაკში რ. თავარიანი.

ჩვენს კორესპონდენტთან საუბარში **რ. თავარიანმა** თქვა:

— რუმინეთში ტრადიციად იქცა ევროპის ქვეყნების გოგონა და ჭაბუკ მოჭადრაკეთა საერთაშორისო ტურნირების მოწყობა. შეჯიბრებაში საასპარეზოდ 20 წლამდე ყმაწვილებს იწვევენ. გოგონათა ტურნირში ორჯერ მიიღო მონაწილეობა თბილისელმა ოსტატობის კანდიდატმა მზია წერეთელმა. ერთხელ მან მეორე ადგილი მოიპოვა, მეორედ — პირველი.

ამჯერად ქალაქ ბრაშოვში, სადაც გოგონები ითამაშებენ, მიწვეულია საქართველოს შარშანდელი ჩემპიონი ქალთა შორის, 16 წლის ნინო მელაშვილი. ჭაბუკთა ტურნირში მონაწილეობას მიიღებს საქართველოს ორგზის ჩემპიონი, თბილისის უნივერსიტეტის სტუდენტი, 19 წლის ზურაბ სტურუა.

სხვათა შორის, ბრაშოვში 1973 წელს დიდად ისახელა თავი მაია ჩიბურდანიძემ, რომელმაც ქალთა საერთაშორისო ტურნირში ისე დაიკავა პირველი ადგილი, რომ უახლოეს მეტოქეს მოწყვიტა 3 ქულით. გაუსწრო.

ტრადიციული ტურნირები 15 აგვისტომდე გასტანს.

### პირველი პრიზი — ქართველ ეტიუდისტებს

**ჩეხოსლოვაკიის** საჭადრაკო ჟურნალი „ჩესკოსლოვენსკი შახი", რომელიც პრაღაში გამოდის, მუდამ გამოირჩეოდა საჭადრაკო კომპოზიციის შინაარსიანი განყოფილებით. ამას წინათ მან გამოაქვეყნა 1976 წელს დაბეჭდილი ეტიუდების კონკურსის შედეგები.

I პრიზი მიეკუთვნა ცნობილი თბილისელი ეტიუდისტების ვ. კალანდაძისა და ვ. ნეიძის კოლექტიურ ნამუშევარს.

აი, ეს ეტიუდიც:

**თეთრები:** მფg5, კb1, კf6.

**შავები:** მფh8, ეa3, მd8, მh8.

**თეთრები ყაიმს აღწევენ.**

ამოხსნა: 1. კe5+ მფa7 2. კd4+ მფa6 3. კ:h8 მf7+ 4. მფg6 მ:h8+ 5. მფg7 ეh3 (5. ...ეb3 6. კh7 ეb8 7. კg8 მg6 8. კe4+) 6. კf5! ეh2 7. კh7 მf7 8. კd3+. ყაიმი.

II პრიზი ხვდა საბჭოთა ეტიუდისტს ი. მაკლეცოვს, III — ჩეხოსლოვაკელ ლ. სედლაკს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ჩემი მესხეთ-ჯავახეთი



## 2.

აწყურს რომ გასცდები, ბუნება უცნაურად იცვლება, ნელ-ნელა ქრება მცენარეული საფარველი, ხეობის ორთავ მხარეს გადმოყუდებული ქედები შიშვლდება და გარემო რაღაც გულჩათხრობილი, მკაცრი და ნაღვლიანად ლამაზი ხდება. უნებურად მგზავრსაც ეცვლება გუნება — ზის და მანქანის სარკმლიდან დაფიქრებული ასცქერის გზაზე გადმოფაფხულ პიტალოებს, გულშეკუმშული ათვალიერებს კლდეთა ნამუსრევით ჩახერგილ ხევხუევებსა და ლამაზი ფიქრივით გავლებულ ყვავილთა ციცქნა მდელოებს, კლდეებს შორის რომ გაბნეულან. იქაურობა ისეა ნანგრევ-ნათხარი, იტყვი, დევებს უბუღრავიათო. გზიდანვე მოჩანს აქა-იქ, ფრიალო კლდეებში გამოკვეთილი სამალავები, თვალებდათხრილი, გაუქმებული. სადგომები... გაგონდება ილიას სიტყვები: „ჩვენი ყოფილი ცხოვრება იქ აყვავებულა, ჩვენ სიცოცხლეს იქ უჩქეფია, ჩვენი სულის ძლიერებას იქ აღუმართავს თავისი სახელგანთქმული დროშა. თითქმის იგია ჩვენი სულის აღმატებულების აკვანი, სწავლა, განათლება, მამულისათვის თავგამოდებული სიყვარული თითქმის იქიდან ეფინებოდა მთელ ქვეყანას“.

მგლოვიარეებივით დგანან კლდეები, უცნაურად გარინდებულან და მათ სიჩუმეში აშკარად ისმის წარსულის ტკივილით გამოწვეული კვნესა და წუხილი.

ახალციხიდან ვარძიისკენ მიმავალ გზას რომ შეუყვები, მიდამო უფრო იმრუშხება, ცადაზიდულ პიტალოებზე გადმომდგარან საქართველოს ძველი კარიბჭის ზვიადი დამცველნი — ხერთვისი, თმოგვი, ვარძია და გრძნობ, როგორ გეუფლება უცნაური, ყოვლისმომცველი გრძნობა სიამაყისა, საკუთარ ჯიშსა და ჯილაგს რომ გახსენებს. მაგრამ სანამ ვარძიას ვესტუმრებოდით, ახალციხიდან ადიგენისკენ ავიღეთ გეზი. აქეთ გარემო უფრო მშვიდია და ზაფხულის ლბილი, ნაზი საღებავებით დაფერილი. დასავლეთით და ჩრდილოეთით ტყით შემოსილი დიდრონი ქედები მოჯარულან. სამხრეთით კი გადახრუკული მთაგორები გალექებული კამეჩებივით მიყრილან ერთმანეთზე. აქედან ძალზე ახლოსაა თურქეთის საზღვარი, მავანი ადგილებიდან თურმე კანთიელად მოჩანს მიჯნისიქითა სოფლები — მიწური სახლები, მეჩეთები... იმ სოფლებში ჯერაც არა ჰქონიათ ელექტრონი, რადიო, ტელევიზორი. მთელი დღის განმავლობაში რომ უთვალთვალო, ერთხელაც ვერ დაინახავ მანქანასა და ტრაქტორს.

ახალციხიდან ადიგენამდე ორმოცამდე კილომეტრია. ავტობუსში ცხელა, კარგა გვარიანად მოვითენთეთ, მაგრამ დღესვე უნდა მოვახწროთ უკან გამობრუნება. მარცხნივ მთის ფერდებზე მესხური სოფლებია, უფრო სამხრეთით, მთებს მიღმა — ტაო-კლარჯეთი და ქართული ხუროთმოძღვრების მარგალიტები — ოპიზა, იშხანი, ოშკი, ბანა, ხახული, ბერთა...

ჩვენს გვერდით წაბლისფერთმიანი ბიჭი ზის, ახალციხიდან მოჰყავს დედას, ექიმთან ჰყოლია. იშმუშნება, ეტყობა რაღაც აწუხებს. მაინც ცდილობს არ დაიმჩნიოს, კაცივით უჭირავს თავი.

გვარს ვეკითხებით.

ხმალაძე ვარო.

— სადაური ხარ?

— მესხი! — ამაყად გვეუბნება და თითქოს უკვირს, ამ მხარეში, ამ გვარის კაცს ასეთ კითხვას რომ ვაძლევთ.

— ჭიდაობა თუ იცი.

კითხვაზე კითხვით შემოგვაჩერდა.

## სოფლის სპორტი: პრობლემები, პერსპექტივები

— აი, ასეთი, ქართული, ჩოხებით.

ჯერ ჰინკები გაუხტა, მერე ისევ დაუნაღვლიანდა თვალები. არაო, თავი გააქნია.

— ხიზამბარელი თუ გაგიგონია, მეკოკიშვილი, თედიაშვილი.

ისევ წყენა დაეტყო, მაინც გამალა შუბლი.

— თქვენ მოჭიდავეები ხართ? — გვეკითხება.

ერთმანეთს გადავხედეთ და გაგვეცინა. ვერაფრით გავახარებთ ბიჭუნას.

აღარაფერი უკითხავს — ძალიან ამაყი ბიჭი ჩანს. ნამდვილი მესხია, გაგვეცლება და მიალერსება მოგინდება. ერთი კი არის, ვიცით გვიწყენს. ჩვენც ვჩუმდებით და ისევ მთის კალთებზე შეფენილ სოფლებს გავცქერით.

ადიგენის რაიონის უძველეს სოფლებში უდეში, არალსა და ვერხანში, როგორც რაიონის სპორტკომიტეტის თავმჯდომარე თამაზ ქუთათელაძემ და კომკავშირის რაიონული კომიტეტის პირველმა მდივანმა შალვა ტაბატაძემ გვითხრეს, დღესასწაულებზე კვლავაც იმართება ჭიდაობა, მაგრამ იქაურ ასპარეზობებს, სამწუხაროდ, ქართული ჭიდაობის ნასახიც არ შერჩენია, რადგან თავისუფალი ჭიდაობის ელემენტებს უფრო მეტს შეიცავს და ეგეც არ იყოს, ფალავნები წელზევით გაშიშვლებულნი ერკინებიან ერთმანეთს. წარსულის ცუდბედობას სპორტის ამ ეროვნული სახეობისთვისაც დაუტყვია კვალი, არადა ერთი ვერსიის თანახმად შორეულ წარსულში სწორედ მესხეთის მიწაზე იმართებოდა საქართველოს მცირე ოლიმპიური თამაშები.

ადიგენში საინტერესო ამბავი შევიტყვეთ: უდეში დღემდე ყოფილა შემორჩენილი ხალხური სპორტულ-თეატრალური სანახაობა ბერიკაობა. თეატრალური ინსტიტუტის ხალხური სანახაობათა შემსწავლელი ექსპედიციის პროფესორ დიმიტრი ჯანელიძის ხელმძღვანელობით ორჯერ (1974 და 1977 წლებში) უნახავს და ფირზეც გადაუღია იგი. აი რას წერს ამის შესახებ დ. ჯანელიძე: „სანახაობა იწყება დაფაზურნით, შეღერებული ფალავნების ჭიდაობით. რას არ ნახავთ: ნეფე-დედოფლობას, სახტიკი ბერის (ყეენის) მიერ სოფლის დარბევა-აკლებას, ფერხულებს, „ლალიონს“ ბავშვთტაციობითა და გამოსყიდვით, ორსართულა „სამყრელოს“. კარგად ბერიკაობენ და ნილბოსნობენ: სტეფანე გიგოლაშვილი (ბერი), ფრ. ბალახაშვილი (ნეფე), ლ. თუმანიშვილი (დედოფალი), მ. ბალახაშვილი (ეშმაკი), შ. ბალახაშვილი (ებრაელი), მ. გზირიშვილი (ბერის მწერალი), ჟ. მღებრიშვილი (აჭარელი), პ. ნარიმანიშვილი (ექიმი), ფალავნები (ზაზაშვილი, ფეიქრიშვილი, ბაბოშვილი, ნოზაძე), მეაქლემე და კაცაქლემი, ბოშები და ლაზები — ორმოცამდე ბერიკა.

მთელ ამ სანახაობას, ჭიდაობასა და ფერხულს, ხარკის აკრეფას, ურჩთა მორჩილებაში მოყვანას, დედოფლის მოტაცებას და მის გმირულ გამოხსნას, ყეენის დამარცხებასა და თავლაფდასხმას, დავიდარაბასა და აურზაურს — ხმაგაუწყვეტლივ ეხმიანება ზურნა-ტუტულაკი“.

ამ საინტერესო სანახაობის მოთავეა 54 წლის კოლმეურნე სტეფანე ბალახაშვილი, რომლის ოჯახში ბერიკათ წინამძღვრობა თაობიდან თაობაზე გადადის. სტეფანესთვის ეს საქმე ბიძამისს გადმოულოცავს და ისიც თითქმის 30 წელია, რაც სათავეში უდგას უდეელ ბერიკებს.

როგორც ჩანს, ძველ საქართველოში ბერიკაობა და ყეენობა, რომლებსაც უდელები ამჟამად სინთეზური ფორმით წარმოადგენენ, აერთიანებდა სპორტულ, თეატრალურ სანახაობებს, ცეკვას, მუსიკას და სხვა კომპონენტებს, რომლებიც ერთი მთლიანი სიუჟეტური ხაზის შექმნას ემსახურებოდნენ. აქ წარმოდგენილი იყო მომხდურთა თავდასხმა საქართველოზე, ყეენის მიერ მოსახლეობის დარბევა-აწიოკება, ხარკის აკრეფა. დამარცხებულნი შესთავაზებდნენ ყეენს — ერთმანეთს დიდ ვნებას ნუ მივაყენებთ, გამოვიყვანოთ მოჭიდავეები და რომლის ფალავანიც მოერევა, ის იყოს გამარჯვებულიო. ყეენი ამაზე თანხმდებოდა, მაგრამ ორთაბრძოლაში გამარჯვებული მუდამ ქართველი ფალავანი გამოდიოდა, რის შემდეგ ყეენს [illegible] შესვამდნენ სახედარზე, სოფელ-სოფელ ჩამოატარებდნენ და ბოლოს მდინარეში აგდებდნენ.

არ შეიძლება გულისტკივილით არ აღინიშნოს, რომ ბერიკაობის მონაწილე ფალავნები ზემოთ ნახსენები წესით ჭიდაობენ, რადგან ამ სოფლებში უკვე აღარ მისდევენ ქართულ ჭიდაობას და მკითხველი ადვილად წარმოიდგენს თუ რა შეუფერებელი იქნება ამ ძველქართულ თეატრალურ სანახაობაში თათრულად წელზევით გაშიშვლებულ ფალავანთა შერკინება...

— საჭიდაო ჩოხები ვერ ვიშოვნეთ, თორემ ქართულ ჭიდაობას რა სჯობიანო, — გვითხრა შალვა ტაბატაძემ. რასაკვირველია, მარტო ჩოხებით ვერას გახდებიან ადიგენელები, ალბათ ცალკეულ პირთა სანაქებო ენთუზიაზმიც არ აღმოჩნდება საკმარისი, თუკი ამ საქმის მიმართ უფრო მეტ მზრუნველობასა და ყურადღებას არ გამოვიჩენთ, რადგან საუკუნეების წინათ დაკარგული ტრადიციის ერთი ხელის წამოკვრით აღდგენა, სხვა თუ არაფერი, საკმაო სიძნელეს წარმოადგენს. ალბათ დადებით შედეგს გამოიღებდა ამ რაიონში ზონალური თუ რესპუბლიკური შეჯიბრებების ჩატარება ქართულ ჭიდაობაში, ცნობილ ფალავანთა საჩვენებელი გამოსვლების მოწყობა და, რასაკვირველია, სპორტული მაღაზიის საჭიდაო ჩოხებით მომარაგება, რომელთა უქონლობასაც მთელ საქართველოში დღემდე განიცდიან. თუმცა ადიგენში, პირველ რიგში ალბათ სპორტული დარბაზის აშენება იქნება საჭირო, ურომლისოდაც ზემოდ ნათქვამი ცოტა არ იყოს, ფუჭ ოცნებად მოგვეჩვენება და თანაც რაიონის ბავშვთა სპორტსკოლას, რომელიც შენობის უქონლობის გამო დახურვის საშიშროების წინაშე დგას, ის დარბაზი სწორედ რომ სულზე მიუსწრებდა.

ადიგენში ასულ კაცს ზარზმის უნახავად არ გამოგიშვებენ, არადა, უამისოდ არც იქნება. რაიონის ცენტრიდან აქამდე ფეხით საათის სავალია. ხეობის შემაღლებულ ადგილზე აშენებული ეკლესია ყველა მხრიდან მოჩანს.

XIV საუკუნის დასაწყისში აგებულ აწინდელ ზარზმის ტაძარს არაფერი აქვს საერთო იმ ტაძართან, ხუროთმოძღვარ გარბანელის ხელით ცნობილმა ქართველმა საეკლესიო მოღვაწემ სერაპიონ ზარზმელმა რომ ააშენა. აღმოსავლეთ ფასადზე უზარმაზარი მოჩუქურთმებული ჯვარია. ჯვარი სამრეკლო ფასადზეცაა. 1577 წელს ხურციძეების, ზარზმის იმდროინდელი მფლობელების მიერ აშენებული სამრეკლოს ჯვარი გადმოქცეულია, ჩუქურთმები უხეშადაა ნაკვეთი. მთავარი ტაძრისა და სამრეკლოს ფასადების მიხედვითაც კი აშკარად იგრძნობა პოლიტიკური და ეკონომიური დაცემის შედეგად რამდენად დაქვეითებულა ნამდვილი ხელოვნება ორიოდ საუკუნეში. თითქმის მთლიანადაა შენარჩუნებული ეკლესიის შიგა მოხატულობა, ეს არის, აუარებელი წარწერაა კედლებზე. სახელები, სახელები... რამდენს მოსვლია აზრად „უკვდავეყო“ თავისი სახელი!

...ახალციხისკენ ვბრუნდებით, ასპინძაში უნდა ავიდეთ დღესვე. ისევ ჩავუარეთ ციხეს. საქართველოს ისტორიოგრაფიისთვის უცნობი ერთი ამბავი გვახსენდება. ფრანგი მოგზაურის პ. ავრილის ნაშრომიდან თარგმნილი ეს პატარა ცნობა ისტორიის ინსტიტუტის მეცნიერ-თანამშრომელმა ბეჟან გიორგაძემ მოგვაწოდა...

კახეთის ტახტიდან ირანის შაჰის მიერ დევნილ არჩილ მეფეს ახალციხის ფაშა დაჰპირებია დახმარებას, სტუმრად მიუწვევია და... ახალციხის ციხეში ჩაუმწყვდევია. ძალმომრეობით შეურაცხყოფილი ქეთევან დედოფალი სათავეში ჩაუდგება ერთგულ აზნაურთ, ციხეს დაესხმება და მეუღლეს გაათავისუფლებს.

შევცქერით ციხეს და თითქოს თვალწინ ცოცხლდება ქართველ პატრიოტ ქალთა მაღალი ზნეობისა და ვაჟკაცური შემართების კიდევ ერთი ფაქტი.

გზა. ოძრხე, ოქროს ციხე, ჭულის ეკლესია, საფარა უნახავი გვრჩება. დრო აღარ ითმენს, სურვილი და სანახავი კი ბევრზე ბევრია.

ასპინძის რაიონი ახალგაზრდაა, ორმოცდაათ წელსაც არ ითვლის, სპორტისა კი ძველი, ბევრი ფესვები გამოჰყოლია მესხეთის ამ კუთხეს. უყვართო, ცოტა იქნებოდა, თუნდაც სათუთად მოვლილი ფეხბურთის მინდვრის. გამო, [...]

[...] ფლოს. იქნება ვცდებოდეთ [...]ეც, მაგრამ მაინც საფიქრებელ[...] რომ ისტორიული ძეგლის [...] სატარებელ, თუნდაც დასასვენ[...]ელ ადგილად გადაქცევა, არ [...] იყოს მიზანშეწონილი.

ნ. შატაი[...]

ი. ბერიაშვილ[...]

ჩვენი სპეც. კორესპონდენ[...]ბი.

გაგრძელება. დასაწყისი იხ. № 148.

# ფავორიტები. ლეგენდები და სინამდვილე

კენჭისყრა არც ერთ მსოფლიო ჩემპიონატში არ ყოფილა ბრმა. უფრო მეტიც, კენჭისყრის დროს ყურადღება ექცევა არა მარტო მონაწილეთა სიძლიერეს, არამედ მათ გეოგრაფიულ განლაგებასაც მსოფლიო რუკაზე, რათა ერთი და იგივე კონტინენტის გუნდები არ მოხვდნენ ერთსა და იმავე ჯგუფებში.

მაგრამ ამ შემთხვევაშიც შეუცდომელი ვარიანტის პოვნა ძნელია, ვინაიდან კენჭისყრაში ევროპა, როგორც წესი ათი გუნდითაა ხოლმე წარმოდგენილი (ზოგჯერ უფრო მეტით, ზოგჯერ ნაკლებით). ჯგუფი კი, ფინალურ ტურნირში, მოგეხსენებათ ოთხია. ესე იგი რომელიმე გუნდი აუცილებლად უნდა დაიჩაგროს, რომელიმე კი სხვებზე უფრო ხელსაყრელ მდგომარეობაში აღმოჩნდეს.

XI მსოფლიო ჩემპიონატის ფინალისტთა კენჭისყრის წინ მშვიდად იყო მხოლოდ ორი გუნდი. არგენტინამ, როგორც ჩემპიონატის მასპინძელმა იცოდა რომ მისთვის განკუთვნილი იქნებოდა პირველი ჯგუფი, ხოლო მსოფლიო ჩემპიონს ასევე ავტომატურად გამოუყვეს მეორე ჯგუფი. ეს მათი, ასე ვთქვათ, უფლებრივი უპირატესობა იყო.

არც მესამე ფავორიტის დასახელება გამოდგა ძნელი, თუმცა კი მსოფლიოს ბოლო ჩემპიონატის შედეგთა გათვალისწინებით პოლონეთს მეტი იურიდიული უფლება ჰქონდა ყოფილიყო ჯგუფში პირველი, ვიდრე ბრაზილიას. მაგრამ ფეხბურთის საერთაშორისო ფედერაციამ და ტურნირის საორგანიზაციო კომიტეტმა მხედველობაში მიიღეს სამგზის ჩემპიონის ძველი და ახალი დამსახურებები, აგრეთვე ისიც, რომ ფინალური თამაშები სამხრეთ ამერიკაში ტარდებოდა და ბრაზილია, ცხადია, ხელიდან არ გაუშვებდა შანსს ებრძოლა უმაღლესი ტიტულისთვის. ამიტომ, ფავორიტად მესამე ჯგუფში ბრაზილია დაასახელეს.

დარჩა ერთი ჯგუფი და ორი საკმაოდ რეალური პრეტენდენტი, რომლებსაც წესით, არ უნდა მიეღოთ მონაწილეობა კენჭისყრაში. მაგრამ რომელი იყო უფრო ღირსეული? იტალია თუ ჰოლანდია?

თავდაპირველად ფავორიტად მეოთხე ჯგუფში მიჩნეულ იქნა იტალია, მაგრამ ჰოლანდიის ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტის მულემანის ენერგიული და დასაბუთებული პროტესტის შემდეგ იტალიის კანდიდატურა მოიხსნა და მისი ადგილი ჯგუფში ჰოლანდიამ დაიკავა.

იტალიას ფეხბურთის საერთაშორისო ფედერაციაში ჰყავდა გავლენიანი წარმომადგენელი უეფა-ს პრეზიდენტის არტემიო ფრანკის სახით, რომელმაც ყველაფერი იღონა, რათა ოდნავ მაინც შეემსუბუქებინა თავისი ნაკრების მძიმე ხვედრი, მაგრამ მიაღწია მხოლოდ იმას, რომ განაწყენებულმა გუნდმა თვითონ აირჩია მეტოქე უკვე დამტკიცებულ ოთხ ფავორიტს შორის.

მსოფლიო ჩემპიონთან კონტაქტს გათამაშების პირველ ეტაპზე ყველა აშკარად გაურბის. ამიტომ არავის გაკვირვებია, როცა იტალიამ კატეგორიული უარი თქვა მეორე ჯგუფში თამაშზე. არც ჰოლანდიელებთან და ბრაზილიელებთან შეხვედრა ხიბლავდა „სკუადრა აძურას“ ხელმძღვანელებს. ამიტომ ვაკანტური დარჩა ადგილი მხოლოდ პირველ ჯგუფში და იტალიის ნაკრებმა სწორედ მას დაადო თვალი.

არგენტინის ნაკრებზე ერთობ ბუნდოვანი წარმოდგენა ჰქონდა იტალიელთა მწვრთნელს ბეარზოტს. მაგრამ იმის გამო, რომ ტურნირის ახლანდელი მასპინძელი მსოფლიოს ბოლო ჩემპიონატებში არაფრით იყო გამორჩეული და კიდევ იმიტომ, რომ არგენტინაში საკმაოდ ბევრი იტალიელი ცხოვრობს, მწვრთნელმაც და უეფა-ს პრეზიდენტმა, არჩევანი პირველ ჯგუფზე შეაჩერეს.

იმაში, რაც მერე მოხდა, ბრალი პირველ ყოვლისა ფიფა-ს პრეზიდენტის აველანჟის სამი წლის შვილობილს რიკარდოს მიუძღვის, რომელმაც პირველი ჯგუფის სხვა ორ მონაწილეს შორის უნგრეთი და საფრანგეთი დაასახელა. წრე თითქოს შეიკრა, მაგრამ სრულიად მოულოდნელად პირველი ჯგუფი ყველაზე მძიმე, ყველაზე უხერხული აღმოჩნდა. ფრანკმა სამშობლოში დაბრუნების ხალისი დაკარგა. ბეარზოტი კი თავის თავს სწყევლიდა იმის გამო, რომ ასე ადვილად დაუთმო პრინციპული დავა მულემანს.

მაგრამ, რაც მოსახდენი იყო მოხდა და ჰაერში მუშტების ქნევას წაგებული ბრძოლის შემდეგ აღარ ჰქონდა აზრი. ფრანკი ბედს შეეგუა, ბეარზოტი კი საქმიან სამზადისს შეუდგა უკვე ცნობილი მეტოქეების შესაძლებლობათა გათვალისწინებით. არგენტინა, იტალია, უნგრეთი, საფრანგეთი — უფრო ძნელ მეტოქეებს ვერც ინატრებდა კაცი, მაგრამ დრო ჯერ კიდევ ბევრი იყო, თითქმის ოთხთვენახევარი და ბეარზოტიც თავისი გუნდის საბოლოო გაძლიერებას შეუდგა.

ფეხბურთი ღია კარით ცხოვრობს. ეს მისი, როგორც სანახაობის და როგორც სპორტის ღირსებაა. ამ ღია კარში მუდმივად შემოდის და გადის ათასგვარი ინფორმაცია, რასაც უდიდესი გულმოდგინებით კრებს პრესა და შემდეგ ფართო სამსჯავროზე გამოაქვს. მსოფლიოს XI ჩემპიონატის კენჭისყრის შემდეგ საზოგადოებრივი აზრი პროგნოზების ზღვაში ჩაიხრჩო. ესეც კანონზომიერი მოვლენაა, რაც, პირველ ყოვლისა, ფეხბურთის პოპულარობასა და საყოველთაობაზე მეტყველებს. პროგნოზომანიის აზვირთებულმა ტალღამ აზრის გამოთქმის სადერდელი აუშალა ყველას — სპეციალისტსა და არასპეციალისტს, ფეხბურთელსა და კინოვარსკვლავს, ჟურნალისტსა და სახელმწიფო მეთაურს... მაგრამ პროგნოზომანიის ამ თავაშვებულ ორომტრიალში ერთი საგულისხმო ფაქტი მაინც დადგინდა: თურმე ყველას თავისი განსაკუთრებული და ცხადია, შეუცდომელი აზრი აქვს ფეხბურთზე, ამა თუ იმ გუნდის შესაძლებლობაზე, პრიზიორებზე და რა თქმა უნდა, მომავალ მსოფლიო ჩემპიონატზე.

ერთმა ფრანგმა კინოვარსკვლავმა გამარჯვება არგენტინის ჩემპიონატში თავისი ქვეყნის ნაკრებს უწინასწარმეტყველა და თქვენ წარმოიდგინეთ ფულადი ჯილდოც კი დააწესა ამ წარმატების აღსანიშნავად. და რაც მთავარია, ეს პროგნოზი ივნისის ცაზე ვარსკვლავთ განლაგებაში ამოიკითხა. უფრო სარწმუნო წყარო ზუსტი პროგნოზის მისაღებად ალბად ძნელი წარმოსადგენიცაა. ინგლისის პრემიერ-მინისტრს კი სულ სხვა მიზანი ჰქონდა, როცა მომავალ ჩემპიონატში გამარჯვებას წინასწარ ულოცავდა თავის იტალიელ კოლეგას. ამით მან საგრძნობლად განამტკიცა ერთი პოლიტიკური ხელშეკრულების ძალა. ფეხბურთი, როგორც ხედავთ, ზოგჯერ დიდ სფეროებსაც სწვდება.

ლონდონის ბუკმეკერებს უფრო სხვა ვნებები აფორიაქებდათ. მათ ჯერ რეალური ინფორმაცია მიიღეს ყველა გუნდზე და რა თქმა უნდა, ჩემპიონატის მასპინძლის შესაძლებლობებზე. შავ ბირჟაზე, მოგეხსენებათ, ორგანიზატორთა აქციები მუდამ კარგად ფასობდა. მერე პრეტენდენტთა შანსები ექსპერტებთან ერთად აწონ-დაწონეს და მხოლოდ ამის შემდეგ განსაზღვრეს სანაძლეოთა შეფარდების ხარისხი. არგენტინა და ბრაზილია ბუკმეკერთა ფავორიტებად გამოცხადდა.

დაახლოებით ასე ფიქრობდნენ სპეციალისტებიც. ან არგენტინა, ან ბრაზილია, ან შესაძლოა გფრ — სხვა რომელიმე გუნდის გამარჯვებას ისინი არ ვარაუდობდნენ.

არგენტინას უპირატესობა ეძლეოდა სავსებით გასაგები მიზეზით. ეს ქვეყანა ჩემპიონატის მასპინძელი იყო. მაგრამ არც ის დავიწყნიათ, რომ წინა სეზონში მენოტიმ ცხრამეტჯერ გამოსცადა გუნდი ამხანაგურ მატჩებში და მხოლოდ სამი შეხვედრა წააგო. სხვა დროს, სხვა პირობებში ამ სამ დამარცხებას ალბად არც ახსენებდნენ, მაგრამ მენოტის გულს უდრღნიდა ერთი მარცხი გფრ-სთან, საკუთარ მინდორზე და ისიც ასეთი ანგარიშით — 1:3.

მეორე ფავორიტმა — ბრაზილიამ როგორც იქნა თავი დააღწია მწვრთნელთა ტრადიციულ ოთურმას და გუნდი წინდახედულ სპეციალისტს, კუტინიოს ჩააბარა. ადრე კუტინიო ცნობილი იყო როგორც... ფრენბურთელი, ამიტომ მისთვის რეკომენდაცია უნდა გაეწია რომელიმე ავტორიტეტს. ახალ მწვრთნელს პირველივე დღიდან დაუჭირეს მხარი ზაგალომ, პელემ და მათთან ერთად ბრაზილიის ფეხბურთის ფედერაციამ მთელი შემადგენლობით.

კუტინიომაც ენერგიულად მოკიდა ხელი საქმეს. ჯერ, ყოველი შემთხვევისთვის, უცვლელად დასტოვა თავისი წინამორბედის ბრანდაოს გუნდი, სამაგიეროდ ბევრი იმოგზაურა ევროპაში და სპეციალისტებთან კონსულტაციების შემდეგ შეიმუშავა ერთგვარი კონცეფცია, რომელშიც უფრო მეტი ფილოსოფიური იყო, ვიდრე წმინდა სპორტული.

ეს ნაკლი მას მუდამ ჰქონდა — ზედმეტი და ყოვლად გაუმართლებელი გატაცება თეორიით. ყოველდღიურ საუბარშიც კი კუტინიო ხშირად მიმართავდა ისეთ გაუგებარ სიტყვებს, რაც არაფერს აძლევდა გულშემატკივრებს და აშკარად აღიზიანებდა ფეხბურთელებს. ერთხელ, ჟურნალისტებთან საუბრის დროს, უნივერსალური მოთამაშის ფუნქციის გასამარტავად იხმარა ტერმინი პოლივალენტური, მეორედ კი, როცა ლაპარაკი თავისუფალ სივრცეზე ჩამოვარდა, მომავლის კოორდინაციები ახსენა.

კუტინიოს გულუბრყვილოდ სწამდა, რომ ზედმეტად დამძიმებული, მეცნიერული ტონი მაგიურ ზეგავლენას მოახდენდა გარეშე თვალზე და მის პიროვნებას ერთგვარი რიდისა და მოკრძალების შარავანდედით შემოსავდა. სხვა ყველაფერი ბრაზილიურ ფეხბურთს ბუნებისგან ჰქონდა ნაბოძები — მაღალი კლასის ვარსკვლავებიც, რომლებიც მეზობელი არგენტინისაგან განსხვავებით ადგილობრივ კლუბებში იყვნენ მიმოფანტული და თვით თამაშის სტილი — მსუბუქი, არტისტული და რაღაც საგანგებოდ დახვეწილი. არა, მენოტისგან განსხვავებით მას უფრო იოლი ამოცანა ჰქონდა გადასაჭრელი. ასე ფიქრობდა ბრაზილიაში იმხანად ყველა.

იყო კიდევ ერთი ფავორიტი, რომელმაც წინა მსოფლიო ჩემპიონატი მოიგო. ეს, სხვათა შორის მუდამ ასეა: ჩემპიონს ლიდერის როლი უახლოესი ოთხი წლის მანძილზე ინერციით აქვს განაღდებული. იგი, როგორც წესი, მუდამ საგანგებო ყურადღების ქვეშაა. მას ელოლიავებიან, პატივს სცემენ, ჰბაძავენ და, რაც მთავარია, ასეთი მოკრძალება გრძელდება დიდხანს, არა მარტო ახალი ტურნირის დაწყებამდე, ჩემპიონატის პროცესშიც.

გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ნაკრები თავისი მაღალი რანგის შესაბამისად შესარჩევი ტურნირისგან თავისუფალი იყო. ეს რა თქმა უნდა შეღავათია, მაგრამ უფრო მორალური, ვიდრე რეალური. მწვრთნელს წარსული წარმატებებისთვის გაცემული ავანსი ჰყოფნის მხოლოდ გარკვეულ პერიოდამდე, მერე კი რეალური გუნდი სჭირდება, ისეთი, რომელიც ან აღრინდელ წარმატებას გაიმეორებს, ან ყოველი შემთხვევისთვის თავს არ შეირცხვენს.

ერთი წლის წინ ჰელმუტ შიონმა თავის გუნდს თერთმეტი ამხანაგური შეხვედრა დაუგეგმა. ამ შეხვედრებს უნდა გამოევლინა ჩემპიონის რეალური ძალა და ის ნაკლოვანებანი, რომლებზეც შემდგომში გამახვილდებოდა ყურადღება. გფრ-ის ნაკრებმა შვიდი მატჩი მოიგო, მათ შორის ორი მსოფლიოს ჩემპიონატის ცნობილ ფინალისტებთან — არგენტინასა და იტალიასთან. ერთი შეხვედრაც ბრაზილიასთან მისსავე მინდორზე ფრედ დაამთავრა.

შიონი ამ შედეგებით კმაყოფილი უნდა ყოფილიყო. ის კი, რაღაც საეჭვოდ დადუმებული, აშკარად გაურბოდა ჟურნალისტებთან კონტაქტს და თუ ხვდებოდა მათ, ზოგჯერ გუნდის პერსპექტივებზე არაფერს გარკვეულს არ ამბობდა. მაგრამ სეზონის მიწურულში, როცა „კედელთან მიაყენეს“ და კონკრეტული პასუხი მოთხოვეს, მწვრთნელი გატყდა. წლის დასაწყისში საფრანგეთთან წაგებული მატჩი — აი, თურმე რამ დაუკარგა მას მოსვენება. მაგრამ როცა ალსარების დრო დადგა, შიონმა ამ მარცხს საეტაპო გაკვეთილი უწოდა. ჩემის აზრით, — თქვა მან, ბოლოს და ბოლოს, ნაკრებმა მიაღწია შინაგან ჰარმონიას და მოქმედების ერთიანობას, რაც მზადების მოცემულ ეტაპზე გადამწყვეტია.

და მაინც მწვრთნელი ბოლომდე გულწრფელი არც ამჯერად იყო. უფრო მეტიც, არ იყო იგი გულწრფელი მთელი ოთხი წლის მანძილზე. მას შემდეგ რაც მსოფლიო ჩემპიონის ტიტული მოიგო. 1974 წლის 7 ივლისს ჰელმუტ შიონმა თავისი კარიერის ზენიტს მიაღწია, მეორე დღეს კი მწვრთნელს აღარ ჰყავდა გუნდი. ეს ყველაფერი ისე მოულოდნელად მოხდა, რომ ბევრი ვერც კი ჩაწვდა ბოლომდე მოვლენის მნიშვნელობას. შიონმა გუმანით იგრძნო კრიზისის მოახლოება, თორემ სიმშვიდე არც ამის შემდეგ დაუკარგავს, უფრო მძიმე წუთებშიც.

ჩემპიონს პირველი ბზარი მაშინ გაუჩნდა, როცა თამაშზე უარი თქვა გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკისა და ევროპის ერთ-ერთმა მთავარმა სნაიპერმა გერდ მიულერმა. იგი მოწიწებით და პატივისცემით გააცილეს, ისე როგორც ეროვნულ გმირს შეშვენოდა. რამდენიმე ხნის შემდეგ ნაკრები დატოვა გრაბოვსკიმ და დაიწყო... სულ მოკლე ხანში შიონი კიდევ ათამდე ფეხბურთელს დაემშვიდობა და ნაკრებმაც ფაქტიურად შეწყვიტა არსებობა. ყოველ შემთხვევაში ძველმა გვარდიამ დატოვა ბრძოლის ველი. ეს იყო მძიმე და აუნაზღაურებელი დანაკლისი, ვინაიდან იმ ხანებში მაინც, გერმანული ფეხბურთი ოვერატის, ჰიონესის, ბრაიტნერის, ნეცერის, ჰეინკესის, ჰიოტჰესის, ვებერის, ჰერტოგისა და ბეკენბაუერის გარეშე (დაუმატეთ ამ გვარებს მიულერი და გრაბოვსკი) წარმოუდგენლად ღარიბი სჩანდა.

მაგრამ შიონს, სანამ ის ნაკრების საჭესთან იდგა, არ ჰქონდა დანებების უფლება. მას რაღაც საგანგებო ზომები უნდა მიეღო და გადაერჩინა მსოფლიო ჩემპიონის პრესტიჟი.

იმ პერიოდში მწვრთნელის პრობლემებიდან უმთავრესი ფეხბურთელთა ასაკი იყო. მაიერი, ფოგტსი, ფლოე, შვარცენბეკი, ჰოლცენბაინი 30 წელს გადასცილდნენ და ცხადია მწვრთნელი მათ დიდ მოთხოვნებს ვერც წაუყენებდა. ვერ დაეყრდნობოდა იგი მთლიანად ვერც მეორე ჯგუფს (დიტცი, კულმანი, ბეერი, რიუსმანი, ფიშერი). დარჩა ახალგაზრდები, რომლებსაც ჰქონდათ შესანიშნავი ფიზიკური მონაცემები, მაგრამ აკლდათ გამოცდილება. აი, სწორედ მათგან უნდა მიეღო ნაკრებს „ახალი სისხლი“. ყველაზე ახალგაზრდა მათ შორის ჰანს მიულერი იყო — 21 წლის, აბრამჩიკს 22-ს არ იყო მიღწეული, რუმენიგე [illegible] იყვნენ დიტცი [illegible] (24 წლის), კალტცი (25). [illegible] მწვრთნელმა მიზნად დაისახა ამ სამი ასაკობრივი ჯგუფის შერწყმა, რათა შინაგანი ჰარმონიისთვის მიეღწია.

არანაკლებად აწუხებდა მას თამაშის ორგანიზაციის პრობლემაც, რაც წლების მანძილზე ნაკრების მთავარი კოზირი იყო. ადრე შიონის ყურადღება „ბაიერნსა“ და „ბორუსიაზე“ იყო კონცენტრირებული. ახლა ამ კლუბებს ხელმოსაკიდი არაფერი ჰქონდათ. ახალი ლიდერის „შალკე 04“-ის შემადგენლობაში კი ყურადღებას იპყრობდა მხოლოდ ერთი ბლოკი (ბონგარტცი, ფიშერი, რიუსმანი, აბრამჩიკი). მწვრთნელმა სწორედ ის ამოიღო მიზანში და დანარჩენი რგოლების ძებნა კი 6-7 კლუბში მოუხდა, რაც საფუძველშივე ეწინააღმდეგებოდა მის პრინციპებს.

შიონს აშკარად უჭირდა. მიუნხენის ჩემპიონატის შემდეგ, მთელი 4 წლის მანძილზე იგი ექსპერიმენტატორს უფრო ჰგავდა, ვიდრე საქმით დაკავებულ მწვრთნელს. საზოგადოებრიობა კი მისგან მხოლოდ გამარჯვებას მოითხოვდა ყოველ ტურნირში, ყოველ მატჩში.

და მწვრთნელსაც ისე ულხინდა, როგორც უჭირდა. ადრე, როცა შიონს ძველი გვარდია ჰყავდა გამგებლობაში, ფლოეს არსებობა არც გახსენებია. ეს ფეხბურთელი მან მეორედ აღმოაჩინა სამწლიანი დავიწყების შემდეგ. „ჰამბურგის“ კაპიტანს ფოლკერტსაც არ აკარებდა ნაკრებს უაღრესად აგრესიული ტემპერამენტის გამო, მაგრამ 32 წლის ასაკში მისი მოწვევაც კი გადაწყვიტა გუნდში.

ფიშერიც საკმაოდ გვიან მოხვდა მისი ყურადღების სფეროში, მაგრამ ამას სხვა უფრო სერიოზული მიზეზი ჰქონდა. ფიშერი, ისე როგორც რიუსმანი, „შალკე 04“-ის იმ გახმაურებული ხუთეულის სულისჩამდგმელი იყო, რომელსაც ბრალად დაედო სკანდალურ მაქინაციებში მონაწილეობა. მოგვიანებით ამ ნიჭიერმა ფეხბურთელმა კიდევ ერთი დანაშაული ჩაიდინა და მხოლოდ მოახლოებული ჩემპიონატის წინ შეიწყნარა იგი ფედერაციამ. თუმცა, დამნაშავეებს საკმაოდ დიდი ფულადი ჯარიმის გადახდა მოუხდათ ცოდვების მოსანანიებლად...

როგორც ხედავთ, სიმშვიდე მხოლოდ გარეგნული ნიღაბი იყო მწვრთნელისა, რომელიც სხვებზე უკეთ გრძნობდა რაც მოხდებოდა. ფეხბურთის სამყაროს კი შიონის გუნდი გამარჯვების ერთ-ერთ პრეტენდენტად მიაჩნდა მას შემდეგაც, რაც მან საკმაოდ დაბალი ხარისხის თამაში აჩვენა XI ჩემპიონატის პირველ მატჩში პოლონეთის ნაკრებთან.

**ნ. გუგუშვილი.**

## დიდი ფეხბურთის ზეიმი



●

**მსოფლიო ჩემპიონატი გაიხსნა შეხვედრით გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკისა და პოლონეთის ნაკრებ გუნდებს შორის. იგი დამთავრდა ფრედ — 0:0.**



**ს უ რ ა თ ზ ე: მომენტი ჩემპიონთა კართან. წინა პლანზე — გერმანელთა მცველი ფოგტსი (მარცხნივ) და მეკარე მაიერი (მარჯვნივ). შუაში პოლონელი თავდამსხმელი შარმახი.**





# გამოცდები, გამოცდები...

დასასრული

ყველგან — დარბაზებში, აუზზე თუ სტადიონზე გამოცდებს იბარებენ გამოცდილი სპეციალისტები, რომლებიც ცდილობენ ინსტიტუტისთვის შეარჩიონ საუკეთესოთა შორის ღირსეულნი, ისინი, ვინც საქართველოს სპორტულ ღირსებას წარმატებით იცავდნენ.

ალპინიზმისა და სათხილამურო სპორტის კათედრის მასწავლებლები ვ. შალუტაშვილი და ვ. ნოსკოვი კარგად იცნობენ მათ, ვინც დღეს აქ სათხილამურო სპორტში სპეციალური უმაღლესი განათლების მისაღებად მოსულან და ცდილობენ გამოცდებზე მთელი თავიანთი ცოდნა გამოავლინონ, იცნობენ, ვინაიდან ამ ახალგაზრდებს შარშანაც, წელსაც რესპუბლიკურ და საკავშირო თამაშებში წარმატებით უცქერიათ ძალა, იცნობენ, მაგრამ მაინც მთელი სიმკაცრით ამოწმებენ, სინჯავენ, შეცდომებს არ აპატიებენ...

ეს დღე ფიზკულტურის ინსტიტუტში ნამდვილი დღესასწაულია. ზეიმია არა მარტო აბიტურიენტებისთვის, არამედ მწვრთნელ-მასწავლებლებისთვისაც, ვინაიდან ერთი თვის შემდეგ კონკურსში გამარჯვებულებმა და ინსტიტუტის პროფესორ-მასწავლებლებმა საერთო ძალით უნდა შეუტიონ დიდ საქმეს, რომ რამდენიმეწლიანი ერთობლივი მუშაობით ჩვენს რესპუბლიკას სპეციალისტთა ახალი კადრები შემატონ.

ზეიმია რესპუბლიკის სხვა უმაღლეს სასწავლებლებშიც — უნივერსიტეტში, საქართველოს პოლიტექნიკურ ინსტიტუტში, სხვა სასწავლებლებში ასობით სპორტსმენი აბარებს მისაღებ გამოცდებს. მართალია, სტუდენტის ბილეთს მხოლოდ საუკეთესონი მიიღებენ, მაგრამ ყველას მტკიცედ აქვს გადაწყვეტილი აქ, უმაღლესი სასწავლებლების კედლებშიც არ შეწყვიტონ სპორტში მეცადინეობა და ახალი მიღწევებით უპასუხონ რესპუბლიკის პარტიულ-სამეურნეო აქტივის 1977 წლის 2 ივლისის კრების გადაწყვეტილებებს, სკკპ ცენტრალური კომიტეტის ზრუნვას, საბჭოთა კავშირის კონსტიტუციით მინიჭებულ უფლებებს...

• • •

**სურათებზე: მოთხილამურე რ. ზედგინიძე გამოცდაზე; ე. კაპანაძე ასრულებს ვარჯიშს; გუშინ სტადიონი მძლეოსნობისა და სათხილამურო სპორტის მოყვარულთა განკარგულებაში იყო. დღეიდან კი ინსტიტუტის ამ ბაზაზე ფეხბურთელები გაივლიან გამოცდას. ფოტოზე აღბეჭდილია მინდვრის მზადების მომენტი.**

ა. კოტორაშვილის ფოტოები.

## ცურვა

**ვიტებსკის** 25-მეტრიან აუზში ბიჭებისათვის გამართულ საკავშირო შეჯიბრებაში „სოვეტსკი სპორტის“ პრიზებზე 12 წლის თბილისის დინამოელმა ზ. გაზაკაშვილმა სამი გამარჯვება მოიპოვა: იგი უძლიერესი იყო 100 მეტრზე ბატერფლაით ასპარეზობაში — 1.09,3 და კომპლექსურ შეჯიბრებებში, როცა 200 მეტრი 2 წუთსა და 31,3 წამში დაფარა, ხოლო 400 მეტრის გაცურვის 5.21,4 მოანდომა.

## თანამედროვე ხუთჭიდი

**გაიმართა** „ბურევესტნიკის“ რესპუბლიკური საბჭოს ღია პირველობა თანამედროვე ხუთჭიდში. შეჯიბრებაში სტუდენტ სპორტსმენებთან ერთად მონაწილეობდნენ „დინამოსა“ და „სპარტაკის“ წარმომადგენლები. ჩემპიონის წოდება მოიპოვა თ. ახალშენიშვილმა („ბურევესტნიკი“) — 5318 ქულა. მეორე და მესამე ადგილებზე გავიდნენ უ. ბექიაშვილი („სპარტაკი“, 5240) და ა. რეშეტოვი („ბურევესტნიკი“) — 5138 ქულა. ჭაბუკ ხუთჭიდელთა შორის პირველი იყო ბურევესტნიკელი ო. ლომიძე — 4944.

## რეგბი

**ქუთაისის** „დინამოს“ სტადიონზე გაიმართა უმაღლესი ლიგის საგზურების მაძიებელთა მორიგი მატჩი. ქუთაისის „სახლმშენმა“ მიიღო კრასნოიარსკის „პოლიტეხნიკი“.

პირველი ნახევარი მასპინძელთა აშკარა უპირატესობით მიმდინარეობდა. სტარტზევე როგავამ გახსნა ანგარიში 4:0, ხოლო კათელაშვილმა რეალიზაციის გამოყენებით და 5 წუთის მერე „ქალაქის“ აღებით ანგარიში 10:0-მდე გაზარდა. 12 წუთში კათელაშვილმა 6, ხოლო ხამაშურიძემ და როგავამ თავიანთ გუნდს კიდევ 4-4 ქულა შემატეს — 22:0. კრასნოიარსკელებმა მხოლოდ ამის შემდეგ შეძლეს ერთგვარად გამოესწორებინათ მდგომარეობა და მიროშკინმა, კაირულინმა და ფილიპოვმა ანგარიშში სხვაობა შეამცირეს, რასაც კათელაშვილმა ზუსტი საჯარიმოთი უპასუხა — 25:10.

ლ. ფაჩუაშვილი.

# კემპესი საუკეთესოა

**არგენტინელი** მარიო კემპესი XI მსოფლიო ჩემპიონატის დახურვისადმი მიძღვნილ საზეიმო შეხვედრაზე საყოველთაო ყურადღების ცენტრში იმყოფებოდა. სასტუმრო „პლაცაში“, სადაც საზეიმო ბანკეტი გაიმართა, ფიფა-ს წარმომადგენელმა მას ორი პრიზი გადასცა — „ოქროს ბურთი“ და „ოქროს ბუცი“, როგორც ჩემპიონატის საუკეთესო მოთამაშესა და ბომბარდირს.

მთელი არგენტინა ზეიმობდა ახალ მსოფლიო ჩემპიონს და მის ლიდერს, 24 წლის მარიო კემპესს. ჩემპიონატის მსვლელობისას ათასობით მაყურებელი შეძახილით „ადელანტე, მარიო“ („წინ, მარიო“) ამხნევებდა ფეხბურთელს, რომელმაც გადამწყვეტი როლი ითამაშა არგენტინელთა წარმატებაში.

ერთ-ერთმა არგენტინულმა სპორტულმა გაზეთმა ჯერ კიდევ ჩემპიონატის დაწყებამდე მოაწყო გამოკითხვა — ვინ უნდა იყოს ნაკრების ლიდერი? ამ დროისთვის კემპესს, რომელიც ესპანეთის „ფკ ვალენსიაში“ თამაშობდა, ზედიზედ გაჰქონდა გოლები მეტოქეთა კარში. 24 გატანილი გოლი—ეს ცოტას არ ნიშნავდა, თანაც კემპესმა მოხსნა თავისი თანამემამულის, მსოფლიოს ერთ-ერთი საუკეთესო ფეხბურთელის დი სტეფანოს რეკორდი კლუბში გატანილი გოლების რაოდენობის მიხედვით. არჩევანს დიდხანს აღარ დაუყოვნებია, ყველამ ერთხმად, მათ შორის მწვრთნელმა ლ. მენოტიმაც, „ემიგრანტი“ კემპესი არჩია.

მ. კემპესი 1974 წლის მსოფლიო ჩემპიონატშიც მონაწილეობდა, მაგრამ 19 წლის სპორტსმენმა, ყველაზე უმცროსმა არგენტინელთა რიგებში, მხოლოდ 3 ოფიციალურ მატჩში მიიღო მონაწილეობა და არც ერთი გოლი არ გაუტანია. იგი მარცხენა გარემარბის ადგილზე ერთი წლის განმავლობაში იცავდა როზარიოს „ცენტრალის“ ღირსებას და დიდი მიღწევები არც იქ ჰქონია. და აი, თითქოს მეორე სუნთქვა გაეხსნაო, დაიწყო გოლების გატანა ქვეყნის პირველობაზეც და სამხრეთ ამერიკის თასის გათამაშებაშიც.

რასაკვირველია, ყველაზე უფრო კემპესის გამარჯვებას ქალაქი კორდობა ზეიმობდა, სადაც იგი 1954 წელს დაიბადა.

პირველი მატჩები მან ადგილობრივი გუნდის „ინსტიტუტო კორდობას“ შემადგენლობაში ითამაშა. ტექნიკურად და ტაქტიკურად სრულყოფილი ახალგაზრდა ფეხბურთელი მხედველობიდან არ გამორჩენიათ ფეხბურთის საქმოსნებს — საკმაო დიდ თანხად შეიძინა როზარიოს „ცენტრალმა“, ორი წლის შემდეგ კი „ცენტრალმა“ უფრო ძვირად დაუთმო ესპანეთის „ფკ ვალენსიას“. ამ დროისთვის კემპესი უკვე ჩამოყალიბებული პროფესიონალი ფეხბურთელია. ერთ მომენტში იგი გაუნაწყენდა კიდეც „ცენტრალის“ ხელმძღვანელობას და განაცხადა: „თუ არ გამიშვებთ ვალენსიაში, იცოდეთ თავს დავანებებ თამაშს“. ასე დაიწყო კემპესის გამოსვლა ევროპის სტადიონებზე. დი სტეფანოს მსგავსად მასაც აქვს გადაწყვეტილი მიიღოს ესპანეთის ქვეშევრდომობა და შეიძლება ისე მოხდეს, რომ 1982 წლის მსოფლიო ჩემპიონატზე კემპესმა არგენტინის შემადგენლობაში ვეღარ ითამაშოს.

გერმანულიდან თარგმნა მ. რადიანმა.

## შვეციის ნაკრების ახალი მწვრთნელი

**სტოკჰოლმი.** თუ რომელიმე ქვეყნის ნაკრები წარუმატებლად გამოვა ფეხბურთელთა მსოფლიო ჩემპიონატზე, თითქმის ყოველთვის წამოიჭრება გუნდის მწვრთნელის გამოცვლის საკითხი. ასე მოხდა შვეციაშიც, რომლის ნაკრები არგენტინის ტურნირში ვერ მოხვდა 8 უძლიერესთა შორის. აი, რას წერს სტოკჰოლმის გაზეთ „დაგენს ნიუხეტერში“ შვეციის საფეხბურთო კავშირის თავმჯდომარე ტ. ბროდი: „ჩვენ გვსურს ნაკრების მწვრთნელის პოსტზე ვიხილოთ ნახევარმცველი სტეფან ტაპერი“.

შვეციის ნაკრების ნახევარმცველი და „მალმეს“ ერთ-ერთი წამყვანი მოთამაშე ტაპერი ბოლო წლებში შვეციის ფეხბურთის ერთ-ერთი ნათელი ფიგურაა.

ბროდის აზრით, ბრწყინვალე ფეხბურთელი ტაპერი, რომელიც საუკეთესო განათლებითაც გამოირჩევა (რაც მას დიდ ავტორიტეტს უქმნის ფეხბურთელებში) ერიქსონის შესაძლებელი მემკვიდრეობის ყველაზე უფრო ღირსეული კანდიდატია. (საკდესი).

## მძლეოსნობა — სულ უფრო შორს...

**ჰელსინკი.** ფინელმა სპორტსმენმა რეიო სტოლბერგმა ბირთვი 20 მეტრსა და 94 სმ-ზე ტყორცნა. ორი კვირის შემდეგ კი თავის შედეგს 2 სმ წაუმატა. ეს სეზონის ერთ-ერთი საუკეთესო მიღწევაა მსოფლიოში.

სტოლბერგმა ყურადღება წლეულს მარტში მიიქცია, როცა მილანში ევროპის ზამთრის პირველობაში გაიმარჯვა.

რეიო ტურკუს აკადემიის V კურსის სტუდენტია. იგი სოციოლოგიას, ფსიქოლოგიასა და ეკონომიკას ეუფლება. სწავლის დასრულებასთან დაკავშირებული სიძნელეების მიუხედავად სტოლბერგი სერიოზულად ემზადება პრაღის ევროპის ჩემპიონატისთვის. ივლისის პირველი ნახევარი მან მთლიანად გაძლიერებულ ვარჯიშს დაუთმო. ახლა ფინეთ-იტალიის მატჩსა და ქვეყნის ჩემპიონატში ისპარეზებს, რათა პრაღის საგზური მოიპოვოს.

ჟურნალისტებთან საუბარში სტოლბერგმა აღნიშნა, რომ ევროპის ჩემპიონატის შემდეგ აქტიურად შეუდგება მოსკოვის ოლიმპიადისთვის მზადებას.

• • •

წლევანდელ სეზონში ბირთვის კრაში მსოფლიო ათეულს სათავეში უდგას უდო ბეიერი (გდრ), რომელმაც ახალი მსოფლიო რეკორდი (22,15 მ) დაამყარა. ამერიკელ ფოიერბახის შედეგია — 21,07 მ. სტოლბერგი მესამე ადგილზეა — 20,96 მ. მომდევნო ადგილებზე არიან საბჭოთა ათლეტები ანატოლ იაროში და ევგენი მირონოვი — 20,89 მ და 20,82 მ შესაბამისად. (საკდესი).

## უმაღლესი ლიგა

### [illegible] ბლოკნოტში

მოგვყავს სსრ კავშირის საფეხბურთო ჩემპიონატის მე-18 ტურის ტექნიკური მონაცემები.

„ტორპედო“ — „ნეფთჩი“ 1:0. გოლი 36-ე წუთზე გაიტანა ხრაბროსტინმა.

დუბლიორები — 4:2.

„ჩერნომორეცი“ — „ზარია“ 1:1. მასპინძელთა ნახევარმცველის უსტიმჩიკის მიერ მე-18 წუთზე გატანილი გოლი გაქვითა კუზნეცოვმა (72).

დუბლიორები — 1:1.

„ზენიტი“ — „არარატი“ 0:1. გამარჯვების მომტანი გოლი გაიტანა მელიქიანმა (12 წთ). ლენინგრადელებმა ვერ გამოიყენეს 11-მეტრიანი საჯარიმო დარტყმა (კუზნეცოვი). გაფრთხილებულია კუზნეცოვი.

დუბლიორები — 1:2.

„დნეპრი“ — „სპარტაკი“ 0:2. ბურთები გაიტანეს პავლენკომ (42 წთ.) და კალაშნიკოვმა (76).

დუბლიორები — 1:5.

„ლოკომოტივი“ — „ქაირათი“ 0:2. მოსკოველთა კარში ბურთები გაიტანეს ლიხოშერსტნიხმა (5 წთ.) და ნეხტიმ (27).

დუბლიორები — 0:0.

„შახტიორი“ — „დინამო“ (კიევი) 2:0. გოლები გაიტანეს საფრონოვმა (36 წთ.) და სტარუხინმა (43).

დუბლიორები — 1:2.

## ფეხბურთი

### გათამაშების ცხრილი

სათადარიგო შემადგენლობანი

მდგომარეობა 1 აგვისტოსთვის

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| ცსკა | 18 | 10 | 7 | 1 | 28—13 | 27 |
| „დინამო“ თბ. | 18 | 11 | 3 | 4 | 23—8 | 25 |
| „ნეფთჩი“ | 18 | 9 | 6 | 3 | 23—19 | 24 |
| „დინამო“ კ. | 18 | 9 | 4 | 5 | 24—19 | 22 |
| „არარატი“ | 18 | 7 | 8 | 3 | 27—15 | 22 |
| „დინამო“ მ. | 17 | 8 | 5 | 4 | 23—13 | 21 |
| „ჩერნომორ.“ | 18 | 8 | 4 | 6 | 18—20 | 20 |
| „შახტიორი“ | 17 | 7 | 4 | 6 | 20—16 | 18 |
| „სპარტაკი“ | 18 | 6 | 5 | 7 | 19—16 | 17 |
| „ფახთაქორი“ | 18 | 5 | 6 | 7 | 17—21 | 16 |
| „ტორპედო“ | 18 | 6 | 3 | 9 | 26—22 | 15 |
| „ლოკომოტ.“ | 18 | 5 | 5 | 8 | 17—27 | 15 |
| „ქაირათი“ | 18 | 3 | 6 | 9 | 15—23 | 12 |
| „ზარია“ | 17 | 3 | 5 | 9 | 17—36 | 11 |
| „ზენიტი“ | 17 | 3 | 5 | 9 | 12—27 | 11 |
| „დნეპრი“ | 18 | 0 | 8 | 10 | 12—26 | 8 |

## პირველი ლიგა

**ქუთაისის** ტორპედოელებმა ლვოვში წააგეს ადგილობრივ „კარპატთან“ — 0:1. გოლი გაიტანა ციმბალიუკმა (59 წთ).

„კარპატი“: სტრაშნენკო, როდინი, სუსლოპაროვი, რიფიაკი, შჩერბეი, ბროვარსკი, ციმბალიუკი, ბალი (საფრონოვი), იურჩიშინი (დანილიუკი), დუმანსკი, ბატიჩი (დუბროვნი).

„ტორპედო“: მჭედლიძე, ფოფხაძე, სულაქველიძე, მელიქია, თევზაძე, ოქროპირაშვილი, ბურკაძე, თ. სვანაძე (კვაჭანტირაძე), ფეტვენიძე (გაბიჩვაძე), ებანოიძე, ხუცურაული (ქვირია).

მსაჯი გ. მილხი (ლენინგრადი).

დუბლიორთა შეხვედრა დამთავრდა ლვოველთა გამარჯვებით — 3:0.

## მეორე ლიგა

**კვირას** შედგა საკავშირო გათამაშების II ლიგის IV ზონის გუნდების მატჩი, რომელიც ჩვენს გაზეთში არ გამოქვეყნებულა: კიროვაბადის „პროგრესმა“ უმასპინძლა იქევსკის „ზენიტს“. გაიმარჯვეს სტუმრებმა — 4:1.

რედაქტორი ა. ბასილაია

გაზეთი გამოდის უოველდღე, გარდა ორშაბათისა და კარასკვისა. რედაქციის მისამართი: 380008, თბილისი, ლენინის ქ. № 14. დეპეშებისთვის — თბილისი, „ლელო“.
ტელეფონები: რედაქტორი — 99-56-11, 93-97-60; რედაქტორის მოადგილე — 99-56-47; პასუხისმგებელი მდივანი — 93-97-52; განყოფილებები: ფეხბურთის — 99-81-71, 93-97-58; მასობრივ-ფიზკულტურული მუშაობის — 93-97-55; სპორტის პროპაგანდის — 93-97-57; მოსწავლე და სოფლის ახალგაზრდობის — 93-97-53; ქიდრაკის — 93-97-26, სამხატვრო — 93-97-59; წერილების — 93-97-54; კორექტორები — 93-97-49; გამომშვები — 93-98-81; ფოტოლაბორატორია — 93-97-58; მემანქანეები — 93-97-51.
ИНДЕКС 66435
საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის სტამბა. თბილისი, ლენინის ქ. № 14.
უე 07981